



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 16

2017 წლის 31 მაისი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სასაფლაოებზე საფლავის გამოყოფისა და დაკრძალვის მომსახურების საფასურის დადგენის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის №07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სასაფლაოებზე საფლავის გამოყოფისა და დაკრძალვის მომსახურების საფასურის დადგენის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის №07 დადგენილებაში (www.mastne.gov.ge, 27/03/2017წ; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.133.016202) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებას დაემატოს მე-3¹ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3¹. გათავისუფლდეს საფლავის გამოყოფის საფასურისგან ის ჭირისუფალი, რომელსაც ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“ - ზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ საჯარო სასაფლაოების გადაცემამდე თვითნებურად შემოკავებული/შემოსაზღვრული ქონდა საფლავისათვის/სამარისათვის განკუთვნილი ტერიტორია, ხოლო დაკრძალვის მომსახურების საფასურს გადაიხდეს დადგენილი ტარიფის შესაბამისად.“.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე